# ყველაზე სწრაფი და ყველაზე ნელი

შენი აზრით, რომელი ცხოველია ყველაზე სწრაფი?

გინდა იცოდე, რომელია ყველაზე სწრაფი ცხოველი? ყველაზე სწრაფი ცხოველი ყოფილა ავაზა. მისი სიჩქარე საათში 100 კმ-ია. გრძელი კუდი მას ეხმარება სირბილის დროს უცებ მოხვევაში. მართალია, ავაზა სწრაფია, მაგრამ მალე იღლება.

ყველაზე სწრაფი ფრინველი არის შავარდენი. როცა პატარა ცხოველის დაჭერა უნდა, იგი ჯერ ცაში აფრინდება. შემდეგ ფრთებს კეცავს და სწრაფად **ეშვება** დაბლა. ამ დროს მისი სიჩქარე 322 კმ/სთ-ია.

**თევზებს შორის ყველაზე სწრაფი** ცისფერი მარლინია. თურმე მან 3 წამში 91 მეტრი გაცურა. ეს საათში 109 კმ-ია.

ყველაზე ნელი არის ლოკოკინა. ამ მოლუსკის სიჩქარე საათში 47 მ-ია. ცხოველებს შორის კი ყველაზე ნელია სამთითა ზარმაცა. წუთში ის სულ რაღაც 2 მეტრს გადის. ცხოვრობს ხეზე. ხშირად საათობით არ მოძრაობს.

დაფიქრდი, რატომ შეარქვეს სამთითას ზარმაცა?

**დონე:** *B* გარდამავალი, **კომპონენტი:** კატეგორიზაცია

## ტექსტის გაგება

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 ყველაზე სწრაფ ცხოველად მიაჩნიათ ავაზა, რადგან:**

ა) მას გრძელი კუდი აქვს, რომელიც მოძრაობაში ეხმარება.

ბ) იგი საათში 100 კმ სიჩქარით მოძრაობს.

გ) იგი სირბილის დროს ძალიან მალე იღლება.

**2 ტექსტის მონაცემების მიხედვით, უფრო სწრაფია:**

ა) ავაზა.

ბ) მარლინი.

გ) შავარდენი.

**3 სამთითა ზარმაცა მიეკუთვნება:**

ა) თევზების კატეგორიას.

ბ) მოლუსკების კატეგორიას.

გ) ცხოველების კატეგორიას.

**4 რა არის ცისფერი მარლინი?**

ა) სწრაფი თევზი.

ბ) სწრაფი ფრინველი.

გ) ნელი მოლუსკი.

## ▶▶▶ ლექსიკა

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. კუდი ავაზას ეხმარება სირბილის დროს **უცებ** მოხვევაში.
   ა) მშვიდად. ბ) ნელ-ნელა. გ) სწრაფად.

2. შავარდენი სწრაფად **ეშვება** ძირს. **ეშვება** ნიშნავს:
   ა) აქეთ-იქით მოძრაობას.
   ბ) ზემოდან ქვემოთ მოძრაობს.
   გ) ქვემოდან ზემოთ მოძრაობს.

**2 რომელი სიტყვა არ გამოხატავს მოძრაობას?**

ა) აფრენა. ბ) დაღლა. გ) სირბილი. დ) ცურვა.

**3 სწორად შეარჩიე წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები.**

| | | |
|---|---|---|
| მაგრამ | შორის | ყველაზე |

1. ---------- სწრაფი ცხოველი ყოფილა ავაზა.

2. ავაზა სწრაფია, ---------- მალე იღლება.

3. თევზებს ---------- ყველაზე სწრაფია ცისფერი მარლინი.

**4 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?**

ა) დაბლა – ძირს. ბ) სწრაფად – ჩქარა. გ) ხშირად – იშვიათად.

## ▶▶▶ გრამატიკა

**1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.**

შავარდენი ---------- აფრინდება. *(ცაში/ციდან)*

## გრამატიკა

**2 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?**

1. შავარდენი ---------- კეცავს.

   ა) ფრთები. ბ) ფრთებმა. გ) ფრთებს.

2. ---------- სამ წამში 91 მეტრი გაცურა.

   ა) ის. ბ) მან. გ) მას.

**3 დაასრულე ხაზგასმული სიტყვა?**

მისი **სიჩქარე...** 100 კმ-ია.

ა) საათზე. ბ) საათიდან. გ) საათში.

## წერა

**1 ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა.**

| | **რა არის?** | **რა სიჩქარით შეუძლია მოძრაობა?** |
|---|---|---|
| **ავაზა** | ცხოველია. | 100 კმ/სთ-ით. |
| **შავარდენი** | | |
| **ლოკოკინა** | | |
| **მარლინი** | | |
| **სამთითა** | | |

**2 დაწერე, რას აკეთებ ყველაზე სწრაფად და ყველაზე ნელა. გვიამბე, რატომ. შენი ნამუშევარი გააფორმე ნახატით.**

---

---

---

---